სამთო ტურიზმის აღორძინების პოტენციალი ცენტრალურ კავკასიონზე

კობა ხარაძე, რევაზ ხაზარაძე

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი)

რეზიუმე: განხილულია ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილების განსაკუთრებული მნიშვნელობა სამთო ტურიზმის აღორძინებასა და თავდაცვისუნარიანობასთან დაკავშირებით.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე უღელტეხილები ადამიანთა გადაადგილებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა. უღელტეხილებით ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მეზობელი ქვეყნები ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ასეთი უღელტეხილები ცენტრალურ კავკასიონზე რამდენიმეა. ამ უღელტეხილებითა და მწვერვალებით დაინტერესებული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მკვლევრები. გასულ საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს; დაიწყო კავკასიონის უღელტეხილების ინტენსიური გამოკვლევა და ათვისება, მოეწყო სხვადასხვა მარშრუტი, შეიქმნა ღამის გასათევი ქოხები და ტურისტული ბაზები.

ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილები ტურისტებისათვის საინტერესოა თავისი ბუნებრივი გარემოთი, ისტორიული განვითარებით, ეთნოგრაფიით, წეს-ჩვეულებებით და სხვ. ამასთან, აქ შეიძლება განვითარდეს სამთო-ტურიზმის მთელი რიგი სახეობები (საცხენოსნო, სამდინარო, სამონადირეო, სამეცნიერო, სპელეოტურიზმი და სხვ.).

ამ მიზნით, შეირჩა საორიენტაციო ტურისტული მარშრუტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1724 წლის ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვანი ამალის მიერ გურძიევცეკის უღელტეხილისა და ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის, ეთნოგრაფის, მთამსვლელის ვიტორიო სელას მოგზაურობის მარშრუტს კავკასიასა და საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს. გარდა ტურისტულისა, ეს მარშრუტი მეცნიერულადაც არის საინტერესო, რადგან მაშინდელი და დღევანდელი ფოტოგადაღებების შედარების საფუძველზე ცნობილი გახდება ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში როგორ შეიცვალა ბუნებრივი გარემო. სასურველია ზემოაღნიშნული ორივე მარშრუტი ჩაერთოს საერთაშორისო მარშრუტების ქსელში.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვისუნარიანობა; სამთო ტურიზმი; უღელტეხილები; ცენტრალური კავკასიონი.

შესავალი

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენი და ბიზანტიელი ავტორები კავკასიონის არაერთ უღელტეხილს ასახელებდნენ თავიანთ ნაშრომებში. სწორედ უღელტეხილებით ამყარებდა

ურთიერთობებს მეზობელი ქვეყნები, კავკასიონის ფერდობების მოსახლეობა, მტერი თუ მოყვარე. ოდითგანვე ამ უღელტეხილებით გადაჰქონდათ ტვირთი და სავაჭრო საქონელი.

შუა საუკუნეებში ამ გზით გადაადგილდებოდნენ მოგზაურები და ელჩები. მრავალი საინტერესო ცნობაა მათ მიერ დაფიქსირებული ჯვრის, მამისონის, გურძიევცეკის, ღებივცეკის, ნაკრის, ტვიბერის და სხვა უღელტეხილების შესახებ. ჩრდილოეთის ქვეყნები სწორედ ამ უღელტეხილებით ახერხებდნენ ერთმანეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა კავშირებს.

ლიტერატურული წყაროებით ცნობილია, რომ XVIII–XIX საუკუნეებში იწყება კავკასიონის უღელტეხილებისა და მწვერვალების ათვისება-შესწავლა უცხოელი მთამსვლელებისა და მკვლევრების მიერ. საბჭოთა პერიოდში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცენტრალური კავკასიონის (სვანეთი, რაჭა) უღელტეხილებს, რადგან აქ არის თავმოყრილი ურთულესი და ულამაზესი მწვერვალები და ხეობები, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის აღორძინებისათვის.

ძირითადი ნაწილი

ცენტრალური კავკასიონის ყველა უღელტეხილი ერთნაირად საინტერესოა ტურისტებისათვის, მაგრამ თავისი ბუნებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით და ისტორიული მნიშვნელობით ერთ-ერთი გამორჩეული მაინც გურძიევცეკია (ნახ. 1). ეს უღელტეხილი 1724 წლის 15 ივლისს გადალახა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ თავისი მრავალრიცხოვანი (1200 კაცი) ამალით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები; მათ შორის ცნობილი პიროვნებები: მწერალი, ლექსიკოგრაფი, დიპლომატი, მოგზაური სულხან-საბა ორბელიანი; ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი; მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მთარგმნელი გაბრიელ გელოვანი; პოეტები ვახტანგ ფავლენიშვილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვ. სწორედ ქართველთა ამ გადასვლის შემდეგ ეწოდა ამ უღელტეხილს „გურძიევცეკი," რაც ოსურად „ქართველთა გადასასვლელს" ნიშნავს.



ნახ. 1. მარშრუტი, რომელიც გაიარა 1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ მეექვსის ამალამ

როგორც ცნობილია, ეს იყო იძულებითი ემიგრაცია, რომელიც იმ დროს გამოუვალი მდგომარეობით იყო გამოწვეული. გარე და შინაური მტრისაგან შეწუხებულმა ვახტანგ მეექვსემ ქართველ ემიგრანტთა დიდი ჯგუფით გადალახა გურძიევცეკის უღელტეხილი, რათა რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველისათვის ეთხოვა დახმარება. ეს იძულებითი ემიგრაცია საქართველოს მძიმე დღეებმა განაპირობა, რაც ფიზიკური და მორალური განადგურებისაგან თავის დასაღწევად გადადგმული უმძიმესი ნაბიჯი იყო [1].

1981 წელს ზემოაღნიშნული მარშრუტი (ნახ. 2) გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მემორიალურმა ექსპედიციამ (14 კაცის შემადგენლობით), რომელმაც მეცნიერულად აღწერა მარშრუტი, შეისწავლა ბუნებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლები, შეადგინა სქემები და დიაგრამები, მოახდინა გავლილი გზის ფოტო- და კინოგადაღება, მოინიშნა მემორიალის დასადგმელი ადგილი, ღამის გასათევი ადგილები და ბილიკები. მიუხედავად ამისა, იმ დროს ვერ მოხერხდა მემორიალის დადგმა და ამ მარშრუტის ჩართვა ტურისტულ ქსელში [2].

ნახ. 2. 1981 წელს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მემორიალური ექსპედიციის მიერ გავლილი მარშრუტი

ემიგრაციის მარშრუტი მრავალმხრივაა საინტერესო. მთელ მარშრუტს თან გასდევს ბუნების მრავალფეროვნება, სადაც ტყით დაფარულ ხეობებს ტიპური სუბალპური და ალპური ზონები ენაცვლება. ზემოთ კი თოვლიან-ყინულიანი ბუმბერაზი მწვერვალებია. ქვემოთ განსაკუთრებული სიდიადით მოჩანს შეუდარებელი რელიეფი, ციცაბო აღმართები, კლდეში ნაკვეთი საფეხურები, ღამის გასათევი გამოქვაბულები, „სამოთხის ველი“ („რაისკაია პოლიანა“), ყარაუგომის მყინვარის ბოლო ნაწილი, რომელიც ტყის ზონაში იჭრება; უღელტეხილის ორივე მხარეს ბუნებისა და ხუროთმოძღვრების მრავალი უნიკალური ძეგლია შემორჩენილი. დიგორის (ჩრდილო ოსეთი) ტერიტორიაზე წარმოდგენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც შუა საუკუნეებში საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებასთანაა დაკავშირებული.



ნახ. 3. ექსპედიციის წევრების დაშვება გურძიევცეკის უღელტეხილიდან (კავკასიონის ჩრდილო ფერდობი)

მიზანშეწონილია აღნიშნული მარშრუტის კიდევ ერთხელ გავლა და შესწავლა, რითაც დეტალურად დადგინდება გზა სოფ. გლოლადან (ონის მუნიციპალიტეტი) ძინაღამდე (დიგორის რ-ნი, ჩრდილო ოსეთი), ან, პირიქით, ძინაღიდან გლოლამდე. მოხდება ტურისტული ობიექტების მეცნიერული აღწერა, ფოტო- და ვიდეოგადაღება. ამ მარშრუტის გასწვრივ შესწავლილ იქნა ბუნებისა და მატერიალური კულტურის ყველა ძეგლი და შერჩევის შემდეგ მოხდება მათი ტურისტულ მარშრუტში ჩართვა.

ეს გზა პირველ რიგში არის ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ისტორია, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ხალხებს შორის აღძრავს დიდ ინტერესს და ტურისტული ნაკადებით საკმაოდ დაიტვირთება. ამით გაცოცხლდება ეს დრამატიზმით აღვსილი გზა და იგი მეგობრობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებისათვის ტურისტულ მარშრუტად იქცევა.

თანამედროვე ტურისტის მოთხოვნები იმდენად გაიზარდა, რომ მას არ აკმაყოფილებს დასვენებისა და გართობის ცალმხრივი ელემენტები. ამიტომ საჭიროა კომპლექსური ხასიათის დასვენების ობიექტებისა და მარშრუტების შერჩევა. ამ მხრივ ცენტრალურ კავკასიონზე ყველა პირობაა შექმნილი სამთო ტურიზმისა და საცხენოსნო, სამონადირეო, სამდინარო, სამეცნიერო, სპელეოტურიზმის და სხვა სახეობების აღორძინებისათვის; მაგალითისათვის შესაძლებელია დავასახელოთ საორიენტაციო ტურისტული მარშრუტები გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსიდან: 1. გუდაური-ყელის ვულკანური ზეგანი, მდ. ქსნისა და ლიახვის ხეობები, 2. გუდაური-სტეფანწმინდა-მყინვარწვერი-დარიალისა და ხდის ხეობები, 3. გუდაური-ჯუთა-ჭაუხები-როშკა-შატილი-მუცო-აწუნთის უღელტეხილი-თუშეთი. ანალოგიური მარშრუტები შეიძლება შეირჩეს სხვა მაღალმთიანი რეგიონებისათვისაც.

ცენტრალური კავკასიონის ტურისტული მარშრუტების განხილვის დროს შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის, ეთნოგრაფის, მთა-

მსვლელის, მოგზაურის ვიტორიო სელას მოგზაურობა კავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, რომლის შესახებაც ცნობები მიკვლეულ იქნა იტალიის ქალაქ ბიელაში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის მიერ (ნახ-ები 4–6).

1983 წელს იტალიაში გამოიცა ფოტოალბომი, რომელშიც მოთავსებულია სხვა მთიან სისტემებთან ერთად ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების, უღელტეხილების, მაღალი მთის სოფლების მცხოვრებთა საქმიანობისა და მათი ჩაცმულობის გამომხატველი სურათები, რომლებიც გადაღებულია ვიტორიო სელას მიერ 1889, 1890 და 1896 წლებში [3].

ნახ. 4. სვანური სოფლები და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება XIX საუკუნის ბოლოს (ფოტოები ვიტორიო სელასი)



ნახ. 5. სოფ. უშგული და ეკლესია XIX საუკუნის მიწურულს (ფოტოები ვიტორიო სელასი)

შემდგომში (1989 წ.) იტალიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში ცნობილი ბანკის „ვიტორიო სელას“ პრეზიდენტმა ლუდოვიკო სელამ გადაწყვიტა გამოეცა ფოტოალბომი, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა 100 წლის შემდეგ გადაღებული სურათები ცენტრალური კავკასიონის იმ ადგილებისა, რომლებიც დაფიქსირებული იყო ვიტორიო სელას მიერ საქართველოში მოგზაურობის დროს. აღნიშნული ჩანაფიქრი საშუალებას იძლეოდა გაგვერკვია, თუ რა ცვლილებები განიცადა 100 წლის განმავლობაში კავკასიონის გეოგრაფიულმა გარემომ და მაღალი მთის სოფლების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებამ.

აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად იტალიიდან გამოგზავნილ იქნა ორი წარმომადგენელი, რომლებიც გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად გაივლიდნენ „ვიტო-

რიო სელას“ ნაკვალევზე და ფოტოგადაღებით დააფიქსირებდნენ ყველა ობიექტს იმ წერტილებიდან, საიდანაც გადაღებულ იქნა ვიტორიო სელას მიერ 100 წლის წინათ.



ნახ. 6. უშბა და ადიშის მყინვარი XIX საუკუნის მიწურულს (ფოტო ვიტორიო სელასი)

ექსპედიციამ, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა და, რომლის შემადგენლობაში იტალიელებთან ერთად შედიოდა გეოგრაფიის ინსტიტუტის სამი თანამშრომელი, გაიარა კავკასიონის ქედის მონაკვეთი მყინვარწვერიდან იალბუზამდე და გადაღებულ იქნა თითქმის ყველა ობიექტი, რომლებიც იყო პროგრამით გათვალისწინებული. პარალელურად ჩატარდა გავლილი მარშრუტის სამეცნიერო ხასიათის ვიზუალური დათვალიერება, რის საფუძველზეც ექსპედიციის მონაწილეებს გაუჩნდათ სურვილი კვლავაც ჩატარებულიყო აღნიშნული მარშრუტის დეტალური გამოკვლევა და კავკასიონის ქედის ეს მონაკვეთი (მარშრუტი) სახელწოდებით „ვიტორიო სელას ნაკვალევზე“ ჩართულიყო სამთო ტურიზმის საერთაშორისო ქსელში.

საპასუხო ვიზიტით იტალიაში ყოფნის დროს ლუდოვიკო სელასთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ გაფორმებულიყო შეთანხმება მის ბანკსა და საქართველოს ტურიზმის სამინისტროს შორის ტურისტული მარშრუტის „ვიტორიო სელას ნაკვალევზე“ დაფუძნების შესახებ, რისთვისაც დაიგეგმა მისი ჩამოსვლა საქართველოში, რათა თავად გაევლო აღნიშნული მარშრუტი და ოფიციალური მოლაპარაკება და თანხმობა მიეღო საქართველოს მთავრობისაგან. წინასწარი შეთანხმების მიხედვით მარშრუტის მარკირებასა და მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა ვიტორიო სელას ფონდი და ბანკი. რაც შეეხება მარშრუტის მეცნიერულ დახასიათებას, იგი მომზადდებოდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ.

ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუშალა ზემოაღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელებას და ეს საქმე დროებით გადადებულ იქნა მომავლისათვის.

დასკვნა

ცხადია, ცენტრალური კავკასიონის ყველა უღელტეხილი ტურისტებისათვის საინტერესოა თავისი ბუნებრივი გარემოთი, ისტორიით, ეთნოგრაფიით, წეს-ჩვეულებებით და სხვ. აქ შეიძლება განვითარდეს სამთო ტურიზმის მთელი რიგი სახეობები (საცხენოსნო, სამდინარო, სამონადირეო, სამეცნიერო, სპელეოტურიზმი და სხვ.). ამასთან, ბოლო წლებში

ტურისტული ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ და მრავალი სახელმწიფოს დაინტერესებამ საქართველოთი, დღის წესრიგში დააყენა ძველი ჩანაფიქრის „ვიტორიო სელას ნაკვალევზე“ მარშრუტისა და ლუდოვიკო სელასთან ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხი. სასურველია ამ მარშრუტისა და სხვა მსგავსი მარშრუტების განახლება, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენთან ტურიზმის განვითარებაში.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე. 1724 წლის ქართული ემიგრაციის ნაკვალევზე//მეცნიერება და ტექნიკა, № 12, 1981.
2. რ. ხაზარაძე კ. ხარაძე. 1724 წლის ქართული ემიგრაციის მარშრუტის ასახვა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებში//კრებული „ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი.“ თბ., 1997.
3. Vittorio Sela. Fotografie e montagna Nell ottocento. Torino-Museo Nacionale dellamontagna `Duca degli Abrucci ~ 12 decembre 1982 - 6 febbralo 1983. Aosta - tour Fromage 20 febbralo – 10 aprile, 1983.

THE POTENTIAL FOR REVIVAL OF MOUNTAIN TOURISM IN THE CENTRAL CAUCASUS

K. Kharadze, R. Khazaradze

(I. Javakhisvili Tbilisi state University's Vakhushti Bagrationi Institute of Geography)

Resume: The article deals with the special significance of mountain passes of the Central Caucasus for the revival of mountain tourism and from view point of the country's defense capability. At all stages of the development of society mountain passes were one of the main objects for the movement and resettlement of people and a strategic field for the defense potential of the country. Mountain passes were connected with the neighboring countries from economic, social and political point of view. There are several such passes on the Central Caucasus. These mountain passes and peaks were investigated by both local and foreign researchers. In the last century, special attention was paid to the development of the tourism industry-related issues; Intensive development of the Caucasian passes started, various routes were organized, night shelters and tourist bases were arranged.

All the mountain passes of the Central Caucasus are interesting for tourists with their natural surroundings, the historical development, ethnography, habits and customs and so forth. At the same time, there can be developed several types of mountain tourism: equestrian, river (boating), hunting, scientific, speleological, etc.

For this purpose, tentative tourist routes were chosen, where the main attention is paid to the route of the Gurdzievtsek Pass, which in1724 was surmounted by numerous officials of the King of Kartli and also by the famous Italian photographer, ethnographer, mountaineer Vittorio Sella at the end of the XIX century, when was traveling through the Caucasus and Georgia. Apart from this, the touristic route is interesting scientifically, because the natural environment has changed over a century, that gives possibility for comparing old and newly taken photos.It is desirable to include these two routes into the international route network.

Key words: defence potential; mountain tourism; passes; the central Caucasus.

ПОТЕНЦИАЛ ВОЗРОЖДЕНИЯ ГОРНОГО ТУРИЗМА НА ЦЕНТРАЛЬНОМ КАВКАЗЕ

Харадзе К. П., Хазарадзе Р. Д.

(Институт географии им. Вахушти Багратиони Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили)

Резюме. Рассмотрено особое значение перевалов центрального Кавказа в связи с возрождением горного туризма и самообороны.

На каждом этапе развития общества перевалы представляли собой один из самых важных путей для перемещения человека и стратегических объектов для самозащиты страны. Перевалами были связаны соседние страны - с экономической, социальной и политической точки зрения. Таких перевалов на центральном Кавказе несколько. Эти перевалы и вершины исследовали как местные, так и иностранные исследователи. В прошлом веке особое внимание было уделено вопросам, связанным с индустрией туризма; началось интенсивное освоение перевалов Кавказа, устраивались разные маршруты, были созданы ночные избы и туристические базы.

Все перевалы центрального Кавказа интересны для туристов своей природной средой, историческим развитием, этнографией, обычаями и др. Также здесь может развиваться целый ряд видов горного туризма (верховая езда, речной, охотничий, спелеотуризм и др.).

С этой целью были выбраны ориентационные туристические маршруты, где главное внимание было уделено путешествию по Гурдзиевцекскому перевалу царя Картли Вахтанга VI со своей многочисленной свитой в 1724 г. и известного итальянского фотографа, этнографа, скалолаза Виторио Селла на Кавказе и по Грузии в конце XIX века. Кроме туристического этот маршрут также интересен научно, так как изменилась природная окружающая среда, что доказывает сравнение тогдашних и сегодняшних фотосъемок. Желательно чтобы вышеуказанные оба маршрута были включены в сеть международных маршрутов.

Ключевые слова: горный туризм; перевалы; самозащита; центральный Кавказ.